ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

--- იანვარი 2025 წელი ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 22/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.132.016355) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“.“

2. დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

„დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოები და საშტატო ნუსხა თანახმად დანართისა“.“

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2025 წლის 01 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ირაკლი თავდგირიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი:

წინამდებარე დადგენილების პროექტის მიღება განპირობებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანა, აღნიშნული ცვლილების შესაბამისად, იცვლება დადგენილების სათაური და ჩამოყალიბდება შემდეგი სახით - **„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოებისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე“.**

ასევე დადგენილებით დამტკიცებულ დანართში პირველადი სტრუქტურული ერთეულის აპარატის უფროსის - პროფესიული მოხელის სტატუსის იცვლება ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის სტატუსით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ხარჯები გათვალისწინებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონენორმატიულ აქტებთან:

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალისმქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი ირაკლი თავართქილაძე

დანართი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობა და საშტატო ნუსხა

№	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	1	8760
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	7300
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	6570
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	5110
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	3	5110
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	10	3650
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი			
7	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი - ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი	1	5110
8	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (შესყიდვების საკითხებში)	1	2628
9	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საბუღალტრო საკითხებში)	1	2336
10	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის საკითხებში)	1	2628
11	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (გენდერული თანასწორობის საკითხებში)	1	2628
12	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია)	1	2628
13	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისია)	1	2628
14	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ინფრასტრუქტურის განვითარების კომისია)	1	2628
15	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია)	1	2628
16	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისია)	1	2628
იურიდიული განყოფილება			
17	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4088
18	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - იურისტი	2	2628
19	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - იურისტი	1	2336
საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება			
20	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4088
21	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	2628
22	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	2336
მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება			
23	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	4088
24	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	2628
25	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	2336

	ჯამი	46	